შპს დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 10
5. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან 11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 11
7. სხვა შემოსავალი 11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 11
9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი 12
10. ფინანსური ხარჯი 12
11. საკურსო მოგება 12
12. ძირითადი საშუალებები 13
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები 14
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 15
16. კაპიტალი 15
17. გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები 15
18. მიღებული სესხები 16
19. საგადასახო ვალდებულებები 17
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
21. პირობითი ვალდებულებები 17
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 17
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 18

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები 21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები 22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 22

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ: +995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მისამართი: აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი, საქართველო, 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია"-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია"-ს (შემდგომში ასევე კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი"* - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ,,დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების და სალაროს ინვენტარიზაციას საანგარიშგებო თარიღებში, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 4,007,156, 2,189,578 და 2,614,112 ლარს. ჩვენ ასევე ვერ დავრწმუნიდით, სალაროს ნაშთის სისწორეში, რაც 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 53,765, 51,726 და 70,070 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ჯგუფებისა. ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 220,722, 144,280 და 126,835 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო ვალდებულებების ნაშთის არსებობასა, სისრულესა და სიზუსტეზე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად შეადგენდა 652,640, 567,423 და 655,806 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ტელ: +995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მისამართი: აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი, საქართველო, 0171

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას,

რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

5 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

ECOVIS®
ATA FINANCE

რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

ECOVIS® ATA FINANCE
405193124

5 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	**2022**	**2021**
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	5	10,906,191	7,203,401
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(6,519,000)	(4,868,612)
საერთო მოგება		**4,387,191**	**2,334,789**
სხვა შემოსავალი	7	50,777	36,719
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(343,512)	(328,844)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(2,895,839)	(1,911,604)
საოპერაციო მოგება		**1,198,617**	**131,060**
ფინანსური ხარჯი	10	(285,032)	(246,407)
საკურსო მოგება	11	68,183	102,564
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**981,768**	**(12,783)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**981,768**	**(12,783)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 5 დეკემბერს:

იასონ ბიბილეიშვილი დირექტორი	გვანცა ლომჯარია მთავარი ბუღალტერი

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	5	10,906,191	7,203,401
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(6,519,000)	(4,868,612)
საერთო მოგება		**4,387,191**	**2,334,789**
სხვა შემოსავალი	7	50,777	36,719
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(343,512)	(328,844)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(2,895,839)	(1,911,604)
საოპერაციო მოგება		**1,198,617**	**131,060**
ფინანსური ხარჯი	10	(285,032)	(246,407)
საკურსო მოგება	11	68,183	102,564
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**981,768**	**(12,783)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**981,768**	**(12,783)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 5 დეკემბერს:

იასონ ბიბილაშვილი
დირექტორი

გვანცა ლომჯარია
მთავარი ბუღალტერი

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	428,703	331,293	264,139
არამატერიალური აქტივები		5,101	10,398	17,034
სულ გრძელვადიანი აქტივები		**433,804**	**341,691**	**281,173**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	4,007,156	2,189,578	2,614,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	815,107	571,509	334,674
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	481,623	713,572	381,621
სულ მიმდინარე აქტივები		**5,303,886**	**3,474,659**	**3,330,407**
სულ აქტივები		**5,737,690**	**3,816,350**	**3,611,580**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	16	548,521	(433,247)	(420,464)
სულ კაპიტალი		**548,521**	**(433,247)**	**(420,464)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	17	2,111,032	2,051,656	1,831,836
გრძელვადიანი სესხები	18	-	176,952	619,588
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,111,032**	**2,228,608**	**2,451,424**
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	19	159,503	83,830	93,154
მოკლევადიანი სესხები	18	318,510	515,630	158,906
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,600,124	1,421,529	1,328,560
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,078,137**	**2,020,989**	**1,580,620**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,737,690**	**3,816,350**	**3,611,580**

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	**-**	**(420,464)**	**(420,464)**
წლის სრული ზარალი	-	(12,783)	(12,783)
31 დეკემბერი 2021	**-**	**(433,247)**	**(433,247)**
წლის სრული შემოსავალი	-	981,768	981,768
31 დეკემბერი 2022	**-**	**548,521**	**548,521**

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	**981,768**	**(12,783)**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	65,185	62,201
ფინანსური ხარჯი	285,032	246,407
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის გაზრდა/(შემცირება)	(13,698)	41,432
საკურსო მოგება	(68,183)	(102,564)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	**1,250,104**	**234,693**
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(1,817,578)	424,534
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(229,900)	(278,267)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	75,673	(9,324)
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,191,682	105,749
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	**469,981**	**477,385**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(29,497)	(10,095)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**440,484**	**467,290**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(157,298)	(122,268)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(451)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	**(157,298)**	**(122,719)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	(186,822)	-
აღებული/(დაფარული) სესხი	(276,803)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობაზე	**(463,625)**	**-**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	**(180,439)**	**344,571**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**713,572**	**381,621**
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე	(51,510)	(12,620)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**481,623**	**713,572**

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406112442.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების იმპორტი და ადგილობრივი შეძენა, შემდგომ დისტრიბუცია და საცალო რეალიზაცია სავაჭრო ობიექტებში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ფუნქციონირებდა კომპანიის 15 სავაჭრო ობიექტი (2021:12; 2020:9). საქართველოს მასშტაბით მაღაზიები წარმოდგენილია შემდეგი ლოკაციებით: თბილისი - 14 ობიექტი, ბათუმი - 1 ობიექტი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი–სამგორის რაიონი, კალოუბნის ქ., N33, ბ. 39, ხოლო ფაქტობრივი გრიგოლ მუხაძის ქ., N16.

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მფლობელები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოქალაქეობა	**31 დეკემბერი 2022**	**31 დეკემბერი 2021**	**1 იანვარი 2021**
ვლადიმერ კოსტელმანი (2661501718)	უკრაინა	70%	70%	70%
იოსებ მიქაძე (01024017055)	საქართველო	15%	15%	15%
ქეთევან გაბაძე (01017008364)	საქართველო	15%	15%	15%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2021 წლის 1 იანვრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
1 იანვარი 2021	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	5-10
მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა აქტივები	5-7

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება**. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.
არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
საოფისე პროგრამა	10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ

წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიიღება, ხდება ავანსი გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

საცალო ვაჭრობიდან ამონაგების აღიარება მაშინ, როდესაც მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება, სალაროსთან როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
(iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმას გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან	6,257,651	4,571,252
ამონაგები საბითუმო რეალიზაციიდან	4,364,017	2,458,335
ამონაგები ონლაინ რეალიზაციიდან	284,523	173,814
სულ	**10,906,191**	**7,203,401**

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

	2022	2021
ალკოჰოლური სასმელები	9,726,478	6,705,060
უალკოჰოლო სასმელები	806,303	346,021
სიგარეტი	215,210	73,968
სხვა	158,200	78,352
სულ	**10,906,191**	**7,203,401**

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის და ნედლეულის შესყიდვის ხარჯს.

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	47,726	10,244
სახელმწიფო დახმარება	-	15,830
სხვა	3,051	10,645
სულ	**50,777**	**36,719**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(205,157)	(171,109)
იჯარის ხარჯი	(55,052)	(41,290)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(23,758)	(16,551)
საწვავის ხარჯი	(12,931)	(8,067)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(10,277)	(11,227)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	13,698	(41,432)
სხვა	(50,035)	(39,168)
სულ	**(343,512)**	**(328,844)**

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(1,290,458)	(762,540)
იჯარის ხარჯი	(860,685)	(624,625)
კომუნალური ხარჯი	(118,617)	(66,621)
მარაგის შენახვის ხარჯი	(89,178)	(50,174)
რეკლამის ხარჯი	(81,653)	(23,664)
ტერმინალის ხარჯი	(72,045)	(50,662)
საწვავის ხარჯი	(69,045)	(47,568)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(54,911)	(50,973)
ონლაინ გაყიდვების ხარჯი	(50,815)	(31,902)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(26,228)	(50,095)
საპენსიო ხარჯი	(23,056)	(15,070)
სხვა	(159,148)	(137,710)
სულ	**(2,895,839)**	**(1,911,604)**

10. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
გრძელვადიან ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(246,199)	(219,820)
გარანტიაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(29,212)	(10,096)
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(9,621)	(16,491)
სულ	**(285,032)**	**(246,407)**

11. საკურსო მოგება

2022 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხი	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	11,947	50,972	176,664	239,583
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(63,457)	(37,884)	(70,059)	(171,400)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	**(51,510)**	**13,088**	**106,605**	**68,183**

2021 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხი	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	5,513	17,560	153,784	176,857
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(18,133)	(4,780)	(51,380)	(74,293)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	**(12,620)**	**12,780**	**102,404**	**102,564**

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა აქტივები	სულ
1 იანვარი 2021	**76,589**	**211,644**	**157,995**	**10,753**	**33,699**	**490,680**
შემოსვლა	25,260	18,494	-	76,589	1,925	**122,268**
გასვლა	-	-	-	-	-	**-**
31 დეკემბერი 2021	**101,849**	**230,138**	**157,995**	**87,342**	**35,624**	**612,948**
შემოსვლა	30,676	68,607	28,379	27,915	1,721	**157,298**
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**132,525**	**298,745**	**186,374**	**115,257**	**37,345**	**770,246**

დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2021	**(40,323)**	**(126,807)**	**(28,822)**	**(2,622)**	**(27,967)**	**(226,541)**
შემოსვლა	(7,414)	(18,300)	(15,800)	(11,080)	(2,520)	(55,114)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**(47,737)**	**(145,107)**	**(44,622)**	**(13,702)**	**(30,487)**	**(281,655)**
შემოსვლა	(8,222)	(14,895)	(15,349)	(19,977)	(1,445)	(59,888)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**(55,959)**	**(160,002)**	**(59,971)**	**(33,679)**	**(31,932)**	**(341,543)**

საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2021	**36,266**	**84,837**	**129,173**	**8,131**	**5,732**	**264,139**
31 დეკემბერი 2021	**54,112**	**85,031**	**113,373**	**73,640**	**5,137**	**331,293**
31 დეკემბერი 2022	**76,566**	**138,743**	**126,403**	**81,578**	**5,413**	**428,703**

სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 130,050 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 104,156 ლარს (2020: 70,856 ლარი).

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ალკოჰოლური სასმელები	3,642,859	1,930,428	2,326,139
უალკოჰოლო სასმელები	154,051	75,082	116,708
სხვა	210,246	184,068	171,265
სულ	**4,007,156**	**2,189,578**	**2,614,112**

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	742,432	576,402	413,217
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(182,342)	(196,040)	(154,608)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	**560,090**	**380,362**	**258,609**
გადახდილი ავანსები	255,017	191,147	76,065
სულ არაფინანსური მოთხოვნები, ნეტო	**255,017**	**191,147**	**76,065**
სულ	**815,107**	**571,509**	**334,674**

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	< 90	90 - 180	181 - 270	271 - 360	> 360	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მოთხოვნები	487,621	67,308	40,373	7,208	139,922	742,432
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი	-	(16,827)	(20,187)	(5,406)	(139,922)	(182,342)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის განაკვეთი	**0%**	**25%**	**50%**	**75%**	**100%**	

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	< 90	90 - 180	181 - 270	271 - 360	> 360	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მოთხოვნები	308,172	83,989	15,080	6,632	162,529	576,402
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი	-	(20,997)	(7,540)	(4,974)	(162,529)	(196,040)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის განაკვეთი	**0%**	**25%**	**50%**	**75%**	**100%**	

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	< 90	90 - 180	181 - 270	271 - 360	> 360	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მოთხოვნები	202,134	50,173	28,281	18,821	113,808	413,217
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი	-	(12,544)	(14,140)	(14,116)	(113,808)	(154,608)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის განაკვეთი	**0%**	**25%**	**50%**	**75%**	**100%**	

საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1 იანვარი 2021	**(154,608)**
წლის დარიცხვა	(41,432)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2021	**(196,040)**
წლის დარიცხვა	-
რეზერვის გამოყენება	13,698
31 დეკემბერი 2022	**(182,342)**

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	419,238	620,588	267,014
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	53,765	51,726	70,070
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	8,620	41,258	44,537
სულ	**481,623**	**713,572**	**381,621**

კომპანიას არ გააჩნია დეპოზიტები კომერციულ ბანკებში.

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას. კომპანია დაფუძნდა ნულოვანი საწესდებო კაპიტალით და ცვლილებები არ შესულა.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის 70%-იან წილს ფლობდა ვლადიმერ კოსტელმანი, 15%-15%-იან წილებს იოსებ მიქაძე და ქეთევან გაბაძე, დეტალურად მოცემულია 1-ელ შენიშვნაში.

2022 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია და გაუცია დივიდენდი. (2021:0 ლარი).

17. გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები

გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები უკავშირდება, გასულ პერიოდებში, დაკავშირებულ კომპანიასთან სავაჭრო ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს, ეროვნულ ვალუტაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიები შეთანხმდენენ აღნიშნული ვალდებულების გადახდის გრძელვადიან გრაფიკზე. შედეგად დაფარვის ვადად განისაზღვრა 10 წელი, ამასთან 2021 და 2022 წლები წარმოადგენს საშეღავათო პერიოდს, ხოლო დავალიანების დაფარვა დაიწყება 2023 წლიდან.

17. გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები (გაგრძელება)

ვინაიდან, ვალდებულების დაფარვის ვადა აღემატება 1 წელს, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ვალდებულება წარდგენილია დისკონტირებული ღირებულებით.

გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულების მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემედგნაირად:

1 იანვარი 2021	**1,831,836**
პროცენტის დარიცხვა	219,820
31 დეკემბერი 2021	**2,051,656**
პროცენტის დარიცხვა	246,198
31 დეკემბერი 2022	**2,297,854**
გრძელვადიანი ვალდებულებები	2,111,032
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 20)	186,822

18. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი	280,120	692,582	778,494
ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები	38,390	-	-
სულ მიღებული სესხები	**318,510**	**692,582**	**778,494**
გრძელვადიანი სესხები	-	176,952	619,588
მოკლევადიანი სესხები	318,510	515,630	158,906

მიღებული სესხების ხელშეკრულების პირობები წლების მიხედვით წამოდგენილია ქვემოთ:

მიღებული სესხები:	**ვალუტა**	**პრო-ცენტი**	**დაფარვის ვადა**	**31 დეკემბერი 2022**	**31 დეკემბერი 2021**	**1 იანვარი 2021**
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან	EUR	2.7%	2023	280,120	692,582	778,494
ფინანსური ინსტიტუტებისგან	USD	7.5%	2023	38,390	-	-
სულ				**318,510**	**692,582**	**778,494**

მიღებულ სესხზე მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
საწყისი ნაშთი	**692,582**	**778,494**
სესხის აღება	41,637	-
სესხის დაფარვა	(318,440)	-
პროცენტის დარიცხვა	38,833	26,587
პროცენტის დაფარვა	(29,497)	(10,095)
საკურსო სხვაობა	(106,605)	(102,404)
საბოლოო ნაშთი	**318,510**	**692,582**

როგორც ეს მოცემულია 23-ე შენიშვნაში დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი სრულად არის დაფარული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

19. საგადასახო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები უცხოელ მომწოდებლებთან	1,179,499	571,491	563,109
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივ მომწოდებლებთან	1,100,080	785,518	729,823
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	186,822	-	-
სახელფასო ვალდებულებები	83,505	43,543	15,663
სხვა	50,218	20,977	19,965
სულ	**2,600,124**	**1,421,529**	**1,328,560**

კომპანია ადგილობრივ და უცხოელ მომწოდებლებთან თანამშრომლობს განსხვავებული გადახდის პირობებით. ადგილობრივი მომწოდებლების, რომელთა ნაშთი შედგენს სავაჭრო ვალდებულებების დაახლოებით 50%-ს, საოპერაციო ციკლია 30-60 დღემდე, ხოლო უცხოელ მომწოდებლებთან თანამშრომლობს საგარანტიო პირობებით და შესაბამისად საოპერაციო ციკლია 60-90 დღემდე.

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	საერთო მეწილე	2,297,854	2,051,656	1,831,836
სავაჭრო მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	11,093	17,130	19,988

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2022	2021
ფინანსური ხარჯი	საერთო მეწილე	246,198	219,820
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	7,335	12,843
სხვა შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3,051	4,407

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	50,803	55,356

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაკავშირებული მხარის მიმართ არსებული სესხი 280,120 ლარის ოდენობით სრულად არის დაფარული.

შპს დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია იასონ ბიბილეიშვილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი–სამგორის რაიონი, კალოუბნის ქ., №33, ბ. 39.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების იმპორტი და ადგილობრივი შეძენა, შემდგომ დისტრიბუცია და საცალო რეალიზაცია სავაჭრო ობიექტებში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ფუნქციონირებდა კომპანიის 15 სავაჭრო ობიექტი (2021:12; 2020:9). საქართველოს მასშტაბით მაღაზიები წარმოდგენილია შემდეგი ლოკაციებით: თბილისში 14 ობიექტი, ბათუმი - 1 ობიექტი.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2022	2021
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან	6,257,651	4,571,252
ამონაგები საბითუმო რეალიზაციიდან	4,364,017	2,458,335
ამონაგები ონლაინ რეალიზაციიდან	284,523	173,814
სულ	**10,906,191**	**7,203,401**

ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
ალკოჰოლური სასმელები	9,726,478	6,705,060
უალკოჰოლო სასმელები	806,303	346,021
სიგარეტი	215,210	73,968
სხვა	158,200	78,352
სულ	**10,906,191**	**7,203,401**

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2022 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო იასონ ბიბილეიშვილი. კომპანიის დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში.

შპს „დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2022 წლის ამონაგებმა შეადგინა 10,906,191 ლარი, რაც დაახლოებით 34%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის დანახარჯების მატებით და ტურიზმის სწრაფი აღდგენით.

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:	2022	2021
სულ ამონაგები	10,906,191	7,203,401
სულ აქტივები	5,737,690	3,816,350
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	69	48
მარჟა	40%	32%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	0.56	0.8
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.72	1.72
მარაგების ბრუნვადობა (დღე)	224	164
დებიტორების ბრუნვადობა (დღე)	27	29

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს დრანკ ოკტოპუს დისტრიბუციის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 42-დან 78-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია კვალიფიციური კადრების მოძიება, შენარჩუნება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე არანაკლებ პრიორიტეტულია დარგში არსებული სიახლეების შესაბამისად პერსონალის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან პირველადი მოხმარების პროდუქტების მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანიები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ფართო ასორტიმენტს და არ არის რომელიმე კონკრეტულ მომწოდებელზე დამოკიდებული.

კომპანია ოპერირებს FMCG სექტორში და მომხმარებლების აბსოლიტური უმრავლესობა წარმოადგენს ფიზიკურ პირებს და არ არის ერთ რომელიმე მომხმარებელზე კონცენტრირებული.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება და რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს.

ახალი ლოკაციების დამატება

კომპანიის გეგმებში შედის ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნა და ქსელის გაფართოება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ახალი პროდუქციის დამატება

კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი ასორტიმენტის შექმნაზე და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებაზე. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2022	2021	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	10,906,191	7,203,401	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,519,000)	(4,868,612)	შენიშვნა 1
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(2,895,839)	(1,911,604)	შენიშვნა 1
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,007,156	2,189,578	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,600,124	1,421,529	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

2022 წელს ცხრილში მოცემული მუხლების ზრდა გამოწვეული იყო სავაჭრო ობიექტების რაოდენობის ზრდით. ასევე, წინა წელთან შედარებით FMCG ბაზრის მოცულობა გაიზარდა, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის დანახარჯების მატებით და ტურიზმის სწრაფი აღდგენით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკენომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,671.9	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშვება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას მიღებული სესხი აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად არ წარმოექნება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 5 დეკემბერს.

იასონ ბიბილეიშვილი დირექტორი	გვანცა ლომჯარია მთავარი ბუღალტერი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას მიღებული სესხი აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად არ წარმოექნება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 5 დეკემბერს.

იასონ ბიბილეიშვილი
დირექტორი

გვანცა ლომჯარია
მთავარი ბუღალტერი